

კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის სამედიცინო პუნქტის დებულება

1. შპს „კოლეჯის ხვალინდელი წარმატებისათვის“ (შემდგომში – კოლეჯი) სამედიცინო პუნქტი არის კოლეჯის სტრუქტურული ერთეული.
2. სამედიცინო პუნქტის საქმიანობას წარმართავს ექიმი.
3. ექიმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების, კოლეჯის შინაგანაწესით და ამ დებულებით.
4. ექიმს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
5. ექიმის სახელფასო სარგო განისაზღვრება ხელშეკრულებით.
6. ექიმი მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს და აკონტროლებს კოლეჯის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას;
7. ექიმი ხელმძღვანელობს კოლეჯის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას; აკონტროლებს და ატარებს შემოწმებას აუდიტორიების, დერეფნების, სასადილოს, ტუალეტის შემოწმების მიზნით და ინფორმაციას აწვდის დირექტორს;
8. ექიმი თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის.
9. ექიმი ვალდებულია:
 - ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო მომსახურება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მასწავლებლებს;
 - ბ) სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს პაციენტს, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში აცნობოს ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს და პაციენტი გადაყვანილ იქნას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში;
 - გ) მზადყოფნაში ჰქონდეს სამედიცინო კუთხე;
 - დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე სტუდენტები (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა), იზრუნოს კოლეჯის სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.
10. ექიმის დებულებას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
11. ექიმის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.